



საქართველო  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 27-25-45)

26 ნოემბერი 2012 წელი

დადგენილება №37

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი  
სარგოს დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო, თანახმად დანართისა (დანართი თან ერთვის).

**მუხლი 2.** ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 6 ოქტომბრის №26 დადგენილება.

**მუხლი 3.** დადგენილება ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალეკო მამეშვილი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის (ხელმძღვანელობის) პირთა თანამდებობრივი სარგო

№	თანამდებობების დასახელება	რანგი	თანამდებობრივი სარგო
1	გამგეობის ხელმძღვანელობა		
1.1	მუნიციპალიტეტის გამგებელი		2360
1.2	მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე		1235
1.3	გამგებლის თანაშემწე		750
	სულ ჯამი		4345

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების (გარდა გამგეობის სახანძრო -სამაშველო სამსახურისა) საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო

№	თანამდებობების დასახელება	რანგი	თანამდებობრივი სარგო
1	სამსახურის უფროსი		950
1.2	სამსახურის განყოფილების უფროსი		770
1.3	მთავარი სპეციალისტი	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	530
2.	დამხმარე მოსამსახურე		
2.1	მდივანი		520
2.2	მძღოლი		520
2.3	დამლაგებელი		380
	სულ ჯამი		3670

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო -სამაშველო სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო

№	თანამდებობების დასახელება	რანგი	თანამდებობრივი სარგო
1	სამსახურის უფროსი		950
1.2	მთავარი სპეციალისტი	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	530
1.3	მთავარი სპეციალისტი სახანძრო ზედამხედველობის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	530
1.4	ცვლის უფროსი		495
1.5	მეხანძრე		475
1.6	დისპეტჩერი		455
2.	დამხმარე მოსამსახურე		
2.1	მძღოლი		475
2.2	დამლაგებელი		330

	სულ ჯამი		4240
--	----------	--	------

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს საჯარო მოსამსახურეთა  
თანამდებობრივი სარგო

№	თანამდებობების დასახელება	რანგი	თანამდებობრივი სარგო
1.	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რწმუნებული		900
1.2	სპეციალისტი	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	400
	სულ ჯამი		1300